ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები

დამტკიცებულია:

სენატის სხდომის ოქმი N3.

თარიღი: 12.02.2024 წ.

დადგენილება N17.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N6.

თარიღი: 05.09.2025 წ.

დადგენილება N69.

“ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ ბიბლიოთეკის განვითარება წარმოადგენს ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის ერთ - ერთ მთავარ პრიორიტეტს. ბიბლიოთეკა აღიქმება როგორც სტრატეგიული სივრცე, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების, კვლევის და პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი რესურსების სრულყოფილ, უწყვეტ და დინამიკურ მხარდაჭერას.

დოკუმენტი განსაზღვრავს ბიბლიოთეკის რესურსების განვითარების, განახლების, გამოცემების შევსებისა და ელექტრონული პლატფორმების მოდერნიზაციის მექანიზმებს, რომლებიც სრულად შეესაბამება ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს.

ბიბლიოთეკა წარმოადგენს ინსტიტუციის საფუძველს, სადაც თავს იყრის ცოდნა, კვლევა და განათლება. მისი სისტემური განვითარება უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ხარისხის ამაღლებას, საგანმანათლებლო პროგრამების გაძლიერებასა და სტუდენტების სასწავლო გამოცდილების გაუმჯობესებას. წარმოდგენილი მექანიზმები ქმნის მუდმივი განვითარების, განახლების და ეფექტიანი მართვის მოდელს, რომელიც სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებს.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. “ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის” ბიბლიოთეკა პასუხისმგებელია ისეთი საბიბლიოთეკო რესურსების და სერვისების განვითარებაზე, რომლებიც ხელს უწყობენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილად ათვისებას;

1.2. წინამდებარე დოკუმენტით განისაზღვრება “ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის” ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები;

1.3. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალისა და სტუდენტების თანამედროვე სასწავლო - სამეცნიერო და მეთოდური სახელმძღვანელოებით, ასევე საბიბლიოთეკო რესურსებით უზრუნველყოფა;

1.4. ბიბლიოთეკა ახდენს საბიბლიოთეკო რესურსების შეფასებას მათი სარგებლობიდან ამოღების ან მასში რესურსის დამატების მიზნით;

1.5. უნივერსიტეტი თანამშრომლობს ბიბლიოთეკების კონსორციუმთან და ეროვნული ბიბლიოთეკების ასოციაციებთან.

მუხლი 2. ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები

2.1. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი მჭიდრო კოორდინაციაშია უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, სკოლებთან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან, რომლებიც წარმოადგენენ საბიბლიოთეკო რესურსების მომხმარებლებს. არსებული თანამშრომლობისა და კომუნიკაციის მეშვეობით ბიბლიოთეკა იღებს განახლებულ ინფორმაციას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალისათვის საჭირო სასწავლო ლიტერატურით შევსება/განახლების შესახებ;

2.2. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ან არსებული საგანმანათლებლო პროგრამის განახლების/მოდიფიცირების შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი აწვდის ბიბლიოთეკას საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურის ჩამონათვალს, რის საფუძველზეც ხორციელდება საბიბლიოთეკო ფონდში არსებული წიგნადი ფონდის გადახედვა და შესაბამისი ლიტერატურით უზრუნველყოფა/განახლება;

2.3. ახალი რესურსის (სახელმძღვანელო, პერიოდული გამოცემა და ა.შ.) შეძენის საჭიროების განხილვისას ბიბლიოთეკის წარმომადგენელი აფასებს შესაბამისი მიმართულებით უკვე არსებული ბაზის ძლიერ და სუსტ მხარეებს და საჭიროებიდან გამომდინარე ახდენს წიგნადი ფონდის განახლებას;

2.4. ბიბლიოთეკაში რესურსების შევსება მიმდინარეობს შემდეგნაირად:

- რეგულარულად ხდება გამომცემლობათა კატალოგებისა, ასევე დისციპლინების მიხედვით ელექტრონული რესურსების და სხვა შერჩევის ინსტრუმენტების გაცნობა და განხილვა. ხორციელდება განსახილველი და დასამტკიცებელი სახელმძღვანელოების სიის შემუშავება;
- უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს არსებულ რესურსებზე ელექტრონული ხელმისაწვდომობის ზედამხედველობა;
- ხორციელდება რეკომენდაციების და დოკუმენტაციის მომზადება ახალი ელექტრონული რესურსების მოთხოვნის შესახებ;
- მუდმივ რეჟიმში ხდება განახლებული წიგნადი ფონდის, ელ. რესურსებისა და საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე წვდომის შესახებ აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების ინფორმირება.

მუხლი 3. საჭიროებების სისტემური ანალიზი, ტექნიკური რესურსების მონიტორინგი და განახლება

3.1. უნივერსიტეტი ახორციელებს საბიბლიოთეკო რესურსების საჭიროებების სისტემური ანალიზს:

ყოველწლიური კვლევები:

- სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის საჭიროებების კვლევა;
- საგნობრივი პრიორიტეტების განსაზღვრა;
- ახალი პროგრამების მიხედვით ლიტერატურის მოთხოვნების ანალიზი.

NEU
ერთიანი საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

სილაბუსების მონიტორინგი:

- თითოეული კურსის ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გადამოწმება;
- მოძველებული წყაროების ჩანაცვლება.

3.2. უნივერსიტეტი ახორციელებს საბიბლიოთეკო რესურსების განახლებას:

საბიბლიოთეკო ფონდების განახლება:

- თანამედროვე გამოცემების შეძენა ყოველწლიური ბიუჯეტით;
- მოძველებული და გამოუყენებელი ლიტერატურის გეგმური დეაქტივაცია.

ახალი წიგნების დამატების მექანიზმი:

- სიების დამტკიცება;
- ლექტორების შემოთავაზებების ინკლუზიური გათვალისწინება;
- საგნობრივი ბენჩმარკინგის მეთოდოლოგია.

3.3. უნივერსიტეტი ახორციელებს ელექტრონული რესურსების განვითარებასა და საერთაშორისო ბაზებზე წვდომას;

3.4. ტექნიკური რესურსების მონიტორინგს და შეფასებას ახორციელებს რეესტრის წარმოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი აღჭურვილობის გამართულობაზე და საჭიროების შემთხვევაში განახლება/შეძენაზე.

მუხლი 4. სივრცის და ინფრასტრუქტურის განახლება

4.1. უნივერსიტეტის თანამედროვე სამკითხველო სივრცეები

- ინდივიდუალური სამუშაო სივრცე;
- ჯგუფური მუშაობის ოთახი.

4.2. ტექნიკური აღჭურვილობა

- კომპიუტერები, სკანერები, პრინტერები;
- სწრაფი ინტერნეტი და კომფორტული გარემო.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

5.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

5.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

5.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

5.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.